№ 109. 24 მაისი, შაბათი. 1866—1880 24 მაისი, შაბათი № 109

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რევნიხშეიდანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რატიშვილის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა" და „ივერიის" რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи"

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 22 მაისს.** „მმართებლობის მოამბე" გვაცნობებს: გაგლიდ კვირის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატრიცას სიცხე მოემატა, მალა უფრო ნაკლებათა აქვს და ღამეც უფრო ცოტა სძინავს ხველების გამო.

გუშინ მოვიდა აქედამ შინაგანი მინისტრი მაკოვი და ჰოლგის ნაპირა ზოგიერთ გუბერნიების გამგეობა გარდასცა თავის ამხანაგს მარტინოვს.

**პეტერბურღი, 22 მაისს.** დღეს 22 მაისს დილით, ნებითა ღვთისათა გარდაიცვალა მისი იმპერატორებითი უდიდესობა ხელმწიფე იმპერატრიცა.

**პეტერბურღის ბირჟა, 20 მაისს.**

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 25 |
| მეორესი — — — — — | 92 | 25 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 37 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — — | 7 | 75 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 227 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 220 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—50 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 217— „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268—25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 128—37 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ინგლისის ახალი სამინისტრო

ტფილისი, 23 მაისს.

თითქმის ორი კვირა არის, რაც ინგლისის პარლამენტის დეპუტატთა არჩევანმა დაგვარწმუნა, რომ ბიკონსფილდის კონსერვატორულმა სამინისტრომ დამარცხებულად უნდა ჩათვალოს თავის-თავი და იმის მაგიერ გლადსტონ-ჰარტინგტონის ლიბერალურ პარტიას ჩაბარდეს ინგლისის გამგეობა.

ამ გვარი შედეგი კენჭის-ყრისა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებისათვის და განსაკუთრებით რუსეთისათვის სასიამოვნოდ დარჩა. მხოლოდ ოსმალეთი და ავსტრი-ვენგრია დააფიქრა ამ გარემოებამ. ოსმალეთი დააფიქრა იმიტომ, რომ ეგონა ინგლისის ლიბერალური პარტია ბიკონსფილდსავით არ გადადებს თავს, არ იზრუნებს ოსმალეთის ერთობისა და შეუხებლობის დაცვისათვის; ავსტრი-ვენგრიაც კიდევ იმიტომ, რომ გლადსტონის პარტია მომხრე არის სლავიანურ ხალხების თუ სრულიად განთავისუფლებისა არა, მომეტებულ უფლების მინიჭებისა მაინც.

სწორეთ ამავე მიზეზებით, რუსეთის გაზეთები აღტაცებით და თანაგრძნობით მოეგებნენ გლადსტონ-ჰარტინგტონის ლიბერალურ მმართებლობის დამყარებას ინგლისში.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ახალი სამინისტრო ინგლისისა ასე სრულად და აჩქარებით არ ცდილობს არც ერთის მხრის სასიამოვნო მოლოდინისასრულებას და არც ისე მოიქცევა, რომ მეორეებს მართლა დიდი შიში მართებდესთ.

პირველი ნაბიჯი ახალი სამინისტროსა იყო და არის მეცადინეობა, რომ ბერლინის ტრაქტატი სრულიად და დაუყოვნებლივ იქმნეს აღსრულებული ოსმალეთისაგან; რომ ოსმალეთმა შეასრულოს ის მუხლები ამ ტრაქტატისა, რომელნიც საბერძნეთისა და ჩერნოგორიის სამზღვრებს შეეხება, ე. ი. დაუთმოს ამ სახელმწიფოებს ის მაზრები, რომელთაც დათმობა ბერლინის კონგრესმა გარდაუწყვიტა.

შემდეგ რაც შეეხება გარეშე საქმეებს პირველი ზრუნვა გლადსტონის სამინისტროისა ის იქმნება, რომ მშვიდობიანობა დაამყაროს სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შორის და ინგლისიც არ გარიოს რომელსამე საფრხეში.

შინაგან, ინგლისის, საქმეების შესახებ გლადსტონი ყველაზე უმთავრესს ყურადღებას მიაქცევს, უეჭველია, ინგლისის ფინანსურ მდგომარეობის გაუმჯობესობას. უკანასკნელ დროს, ავღანში და სამხრეთ აფრიკაში თავხედურ ომის ატეხის გამო, ინგლისის ფინანსიური მდგომარეობა ცოტა არ იყოს შეირყა. და, როგორც ამბობენ, გლადსტონის სამინისტრო ეცდება, რომ ეს მდგომარეობა მშვიდობიანობის დამყარებით კარგის გამგეობითა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიგიან ანგარიშის დაჭერით, გააუმჯობესოს.

ამ ნაირად, არავის არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ინგლისის ახალი სამინისტრო ევროპის ქარტას შეცვლის, რომ ის ახალს რასმე შემოიტანს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან მძლავრების აღაგმვასა და დაჩაგრულების აღდგენას ეცდება. ეს იქნება, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, წინ-დახედული სამინისტრო, რომელიც ყველაზე პირველად იმას ეცდება, რომ მშვიდობიანობა იქმნეს ევროპის სახელმწიფოთა შორის და ამ მშვიდობიანის, დაურღვეველის ცხოვრების წყალობით, როგორც ფინანსიურის, ისე სხვა ყოველის მხრით გააძლიეროს და აღამაღლოს თავის სამშობლო ქვეყანა...

## ახალი ამბები

—

ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში" დაბეჭდილია, რომ გუშინ, 22 მაისს, მიცვალებულის მისი იმპერატორებით უდიდესობის ხელმწიფე იმპერატრიცის პანაშვიდი პარასკევს, შაბათს და კვირას იქნებაო სიონის სობოროში დილის 9 საათზე და საღამოს 6 საათზე.

***

დიდი მთავარი კავკასიის მთავარ-მმართებელი გუშინ, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე წაბრძანდა პეტერბურღში ხელმწიფე იმპერატრიცის დასაფლავებაზე დასასწრებად.

***

## მწერლობა

—

### ქართულ გრამმატიკის სქემა

(მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა, რომელიცა აჩვენებს ყრმათა მაგალითსა განყოფილებისა მათისასა მოკლედ, რომლითაცა უადვილესად შესაძლო არს გულის-ხმის-ყოფა და ადვილად დაენერგვისთ გულთა შინა. — თ. რ. ერისთავი. 1880 წ. ტფილისი)

ამას წინეთ გაზეთ „დროებაში" რამოდენიმეჯერ იყო დაბეჭდილი განცხადება: „თ. რ. ერისთვისაგან შედგენილი მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა გამოვიდა და ისყიდებაო".

ეს „მოკლე სქემა", როგორც მახსოვს, მგონი, „მასწავლებელთა კრებასაც" ჰქონდა წარდგენილი თბილისში უფ. ავტორისაგან; კრებისაგან მოწონებაც გამიგონია ამ შრომის.

ამიტომ, უნდა მოგახსენოთ, ძალიან მიამა, როცა „დროებამ" მისი გამოცემის ამბავი მოიტანა. ვფიქრობდი — ჩვენს ღრამმატიკას ძალიან ეჭირება ხეირიანი ტერმინოლოღია-მეთქი და თ. ერისთვის „მოკლე სქემა" ამ მხრით დიდი შესამატი იქნება ჩვენის აწინდელ ღრამმატიკოსებისათვის-მეთქი. განსხვავებულ მნიშვნელობის მქონედ მიმაჩნდა ის პირველ-დაწყებითი შკოლებისათვის, სადაც ახლა-და-ახლა ქართულს ენას ჯეროვანი ადგილი მიეცა. თვითონ გამოცხადებიდგანაც სჩანდა, რომ ეს „მოკლე სქემა" დანიშნული უნდა ყოფილიყო სწორედ ამ შკოლებისათვის და მათში მოსწავლე „ყრმათათვის".

სრულიად დარწმუნებული ვიყავი, ეს „სქემა" რომ მშვენიერი, მრავალგვარი ღირსებით აღსავსე და ბეჯითად შემუშავებული იქნებოდა და თან ადვილი გასაგებიც „ყრმათათვის", რომლის შემწეობითაც მართლა „უადვილესად შესაძლო იქნებოდა გულის-ხმის-ყოფა" ღრამმატიკისა.

გამიმართლდა თუ არა იმედი? — ამ კითხვას უნდა გასცეს პასუხი თვით ამ „მოკლე სქემის" განხილვამ.

თავ-და-პირველად დაუკვირდით ამ სქემის დასაწყისს სიტყვას: „მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა, რომელიცა აჩვენებს ყრმათა მაგალითსა განყოფილებისა მათისასა (რის მაგიერად ხმარობს ამ ნაცვალსახელს „მათისასა"?) მოკლედ, რომლითაცა უადვილესად შესაძლო არს გულის-ხმის-ყოფა (რისი?) და ადვილად დაენერგვისთ გულთა შინა (რა?)".

ეს თავის-თავად უღრამმატიკოც გახლავს და გაუგებარიც! მგონია, ამას სხვა განხილვა არ ეჭირვება.

ავტორი ჰყოფს ღრამმატიკას ოთხ უმთავრეს ნაწილად: „წიგნად, მარცვლად, ლექსად და სიტყვად". რასაკვირველია, მასწავლებელმა უნდა განუმარტოს „ყრმას" თვითოეულის სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ როგორ — ამისი კი რაღა მოგახსენო! არა მგონია, რომ ყოველმა სახალხო შკოლის მასწავლებელმა იცოდეს, — რა ჰაზრით ხმარობს თ. ერისთავი სიტყვას „წიგნი". ამას გაიგებს მხოლოდ ის, ვისაც ანტონის ღრამმატიკა უკითხავს, რომლიდგანაც უსესხებია უფ. ავტორს თითქმის მთელი თავის „მოკლე სქემა." ანტონი ამბობს:

„წიგნი ვიდრემე არს რომელი დგას მნიშვნელი ასოსა."

თუნდ ესეც იცოდეს მასწავლებელმა, მაინც ვერას გააწყობს ის „ყრმასთან" ამ განმარტებით, რადგან სიტყვას „წიგნი" სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. და რა საჭირო იყო ან

ბუშინ, 22 მაისს, თფილისის ოლქის სასამართლოში, როგორც გაზ. „აბზორი“ გვაცნობებს, გაარჩიეს საქმე აქაურ სომხურ გაზეთის „მშაკის“ რედაქტორის გრეგორ არწრუნისა, რომელსაც ცენზორისაგან ნებადაურთველ სტატიების დაბეჭდვას აბრალებდნენ. ბრალდებულის მხრით თვითონ არწრუნი იყო; ის ამტკიცებდა, რომ ცენზორის მელიქ-მერაბოვის ნდობა ჰქონდა დამსახურებული და იმისაგან ნება ჰქონდა მიცემული, რომ იმის ხელ-მოუწერელად დაებეჭდა ზოგიერთი შენიშნვები გაზეთში.

სასამართლომ ეს საბუთი არ მიიღო მხედველობაში და ცენზურის წესდების დარღვევისათვის „მშაკის“ რედაქტორს 50 მანეთის ჯარიმის გარდახდა გარდაუწყვიტა.

* * *

ქართლიდამ გვწერენ, რომ მთავრობის განკარგულებით კალიაზე გამოსულ მუშებს დღეში სამი გირვანქა პურის მიცემა გამოუცხადესო, მაგრამ ზოგან მუშების ზედამხედველნი ორ გირვანქასა მეტს არ აძლევენო...

კალიის თაობაზედვე ზანგის გუბერნიიდამ იწერებიან ოფიციალურად, რომ ჯებრაილის მაზრაში კალია სულობით აღარ არის, ხალხმა გაწყვიტაო. თვითონ ელისავეტპოლის მაზრაში და შუშისა და ჯევანშირისაკენ ბევრ ალაგას კალია აგრეთვე სრულიად გაწყვეტილია და საცა დარჩა, ხალხი გულ-მოდგინეთ მუშაობსო.

* * *

მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვის ჩვენ მივიღეთ კიდევ შესაწირავად შემდეგი წიგნები უფ. დავით ვარდაშვილისაგან: 1) რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, 2) მოქალაქე ღაბალ ლალო, 3) ნიკ. ბარათაშვილის ლექსები, 4) ლექსიკონი (ახალშენოვისა), 5) თ. გრ. ორბელიანის ლექსები, 6) საქართველო (დ. ბაქრაძისა), 7) სიბრძნე კაცობრივი (მონთობანს გამოცემული), 8) მიმოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა (ტიმოთე ეპისკოპოსისა), 9) ნინო ყარანგოზოვის ლექსები, 10) პატრის ცხოვრება, 11) მოთხრობები (თარგ. ზ. ღიღებულიძისა) და 12) **Описаніе древностей гор. Тифлиса** (რუსული წიგნი, პლ. იოსელიანისა).

რამდენიმე პირმა გამოგვიცხადა ჩვენ სურვილი, რომ მეორე სატუსაღოს, გუბერნიის სატუსაღოს ტუსაღების ბიბლიოთეკისთვისაც შემოსწირავენ წიგნებს, თუ შეიძლებაო. ჩვენ ვერ მიგვიღია ამგვარი შესაწირავი, რადგან არ ვიცით—არის ვინმე იმ სატუსაღოში იმისთანა მადლიანი კაცი, როგორც მეტეხში აღმოჩნდა მ. ლომოური, რომელმაც იკისროს ამ საქმის სისრულეში მოყვანა და ბიბლიოთეკის გამართვა, თუ არა. თუ აღმოჩნდა და გვაცნობეს, ჩვენ რაღა თქმა უნდა დიდის სიამოვნებით ვიკისრებთ იმ სატუსაღოსთვისაც წიგნების მოგროვებას. ერთი შენიშვნაც ამ საქმის შესახებ:

იმ წერილში, რომელიც მ. ივ. ლომაურმა დაბეჭდა „დროებაში“ მეტეხის ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკისათვის შედგენაზე, სხვათა შორის გამოცხადებული იყო თხოვნა სხვა ადგილობრივ გაზეთებისადმი, რომ იმათაც გადაბეჭდონ ეს წერილი და თუ შეიძლება რუსული და სომხური გაზეთების რედაქციებიც დაეხმარონ ამ საქეში, ამათაც მოაგროვონ რუსული და სომხური წიგნები რადგან მეტეხში რუსებიც და სომხებიც არიან ტუსაღებიო.

ჩვენ გვაკვირვებს რომ არც რუსულ და არც სომხურ გაზეთებმა დღემდინ საჭიროდ არ დაინახეს, რომ ამ თხოვნისათვის ყურადღება მიექციათ, გარდაებეჭდათ მ. ლომაურის ჩინებული წერილი და ამ ქველ საქმეში დახმარებოდენ იმას...

* * *

ალბულაღიდამ გვაცნობებენ, რომ ამ თვის 17 იქ ჩამოუღჩჩვია თავი ერთს გადამდგარ სალდათს დუხაბორს; სხვილი თოკიება ყელზე და ისე ეკიდა საჯინიბოშიო.

მიზეზს იმას ამბობენო, რომ ვითომც ცოლი გამოქცეოდეს თფილისში. ამ საქმის თაობაზედ გამოძიება არის დანიშნულიო.

* * *

ჩვენ მივიღეთ რუსულად გამოცემული მე-IV წიგნი „**კავკასიაზე ცნობათა კრებისა**,“ რომელიც შეიცავს „თფილისის ერთ-დღიურ აღწერას“, რომელიც მოხდა 25 მარტს 187 წელს მაშინდელ ღუბერნატორს ორლოვსკის განკარგულებით და უფ. დობროვოლსკის ხელმძღვანელობით.

ეს მშვენიერად დაბეჭდილი სქელი წიგნი, რომელიც კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტის სეკრეტრის უფ. კაბიაკოვისაგან არის შედგენილი და ამ კომიტეტისაგან გამოცემული, ბევრ ძვირფას მასალასა და ცნობას შეიცავს ქალაქის თფილისის ყოველის მხრით გასაცნობად, სხვათა შორის, აქ არის მოყვანილი თფილისის ოთხი პლანი ანუ სახე, ერთი 1670 წელს დახატული ფრანცუსის შარდენისაგან, მეორე 1770 წელს დახატული ტურნეფიზისაგან, მესამე ჩინებული პლანი თფილისისა 1735 წელს შედგენილი ჩვენი გამოჩენილის გეოგრაფის ბატონიშვილის ვახუშტისაგან და მეოთხეც პლანი ახლანდელის ქალაქისა.

ეს ჩინებული ყველა აქაურ მცხოვრებისათვის საინტერესო წიგნი ისყიდება ქალაქის წიგნის მაღაზიებში 4 მანეთად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოკლე ხანში ჩვენ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ ამ ყოვლად—საინტერესო გამოცემაზედ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**დ. ყვირილა**, 15 მაისს. დღეს რკინის გზით მოვიდა აქ ქუთაისიდამ კავკაზიის სასწავლებლების მზრუნველი ბატ. იანოვსკი.

რკინის გზის სტანციიდამ წავიდა პირ-და-პირ ყვირილის ორ კლასიან ნორმალურ შკოლაში. გამოსცადა შაგირდები ყველა საგნების სწავლაში; განიხილა საქმეები ამ შკოლისა და კმაყოფილი დარჩა შაგირდების ცოდნით. როდესაც შაგირდებს რუსულათ კითხავდა რასმე, ქართულად ცოდნის გაგებაც სურდათ მთარგმნელის საშვალებით; ქართულად როდესაც მოითხოვდა შაგირდისაგან რამე პასუხს, თუ შაგირდი მიუგებდა, ამოწმებდა ბატ. მარსოვი, დირექტორი ქუთაისის სახალხო შკოლებისა. სამი საათი მოიხმარა შაგირდების გამოცდისათვის.

ბევრი დარიგება მისცა მასწავლებლებს შესახებ სწავლის გარდაცემისა; ყოველი მისი სიტყვა ამტკიცებს, რომ კარგად ესმის პედაგოგიის საგანი და ზედმიწევნით გაუგია ნაკლულევანება ზოგიერთ ეხლანდელ დროის პედაგოგებისა.

გაოცებულია ბატონი იანოვსკი იმ მასწავლებლების ქცევაზე, რომელნიც „ედინიცებს“ და „დვოიკებს“ ხმარობენ შაგირდების სწავლაზე წასახალისებლად. იმის ჰაზრით შაგირდი ამ ნიშნებით კი არ მოუმატებს სწავლას და მეცადინეობას, შეიძულებს და საუკუნოდ აღმოფხრავს შაგირდში სწავლის სურვილს. ბატ. იანოვსკის ჰაზრით, შაგირდს თუ ერთი ნიშანი აქვსდასმული, ეს ამტკიცებს მას, რომ იმ შაგირდის მასწავლებელმა სწავლის გარდაცემა იცის იმდენათ, რამდენიც ნიშანი აქვს დასმული შაგირდს!..

ორი საათი გაატარა მასწავლებელთან ტკბილ მუსაიფში ამისთანა სასარგებლო საგნებზე.

სხვათა შორის ჩამოვარდა ლაპარაკი კორრესპოდენტებზე და მათ კორრესპოდენციებზე.... აი ამ საგნის შესახებ რა გონიერი აზრი წამოსთქვა ბატ. იანოვსკიმ: გასაკიცხავი არ არიან კორრესპოდენტები: თუ ტყუვილს სწერენ, ტყუვილი გამოდგება და ვის რა ევნება? თუ მართალს დასწერენ, ხომ სირცხვილია მათი გა-

---

კი სულაც ეს სიტყვა?! ამას ბევრად სჯობდა ეხმარა სიტყვა „ასო“ როგორც ხმის ნიშანი, რომელიც ყოველმა წერ-კითხვის მცოდნემ კარგად იცის.

ამ „წიგნიდგან“ გარდასვლა პირ-და-პირ მარცვალზედ უხერხულია, რადგანაც მარცვალი შესდგება არა „წიგნებიდგან“, როგორც საწერი ნიშნებიდგან, არამედ ხმებიდგან. თავ-და-პირველიდ ყმაწვილს გააცნობენ ხმებს და არა „წიგნებს“! *) „მარცვალი იქნებაო ანუ მარტივი, ანუ შეზავებულიო“. რას ნიშნავს „მარტივი მარცვალი, ან შეზავებული?!“ ალბად ამით ის უნდა სთქვას, რომ მარცვალს შეადგენს ხან ერთი ხმა და ხან მეტი. რაც უნდა იყოს—არცვალი არც მარტივი იქნება და არც შეზავებული, ე. ი. რამდენი ხმისაგანაც უნდა შესდგეს, მარცვალი ყოველთვის ერთი იქნება მარტო და არა შემდგარი, შეზავებული, რთული. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა „ბი-ძია“; აქ პირველი მარცვალი შესდგება ორი ხმისაგან, მესამე კი მარტო ერთისაგან; მაგრამ არ შეიძლება ვსთქვ.თ ერთზედ „შეზავებულიო“ და მეორეზედ „მარტივიო“, რადგან პირველიც ერთი მარცვალია მხოლოდ და მესამეც. შეიძლება ეს „შეზავებული“ მარცვალი იყოს ანტონის „შეზმნილი“ მარცვალი. მაშინ აი რა უნდა ვსთქვათ: ჩვენი დროის ქართულში „შეზმნილი“ მარცვალი აღარ იხმარება და ამიტომ არც საჭიროა მისი შეტანა „საყმაწვილო სქემაში.“

ავტორი „სიტყვას“ ჰყოფს რამოდენიმე ნაწილად: „სახელად, ნაცვალსახელად, ზმნად, მიმღეობად, თანდებულად, ზმნის-ზედად, კავშირად და შორისდებულად.“ რას ნიშნავს „სიტყვა?“ ალბად წინადადებას, რადგან ავტორი თვითოეული სიტყვის მაგიერად ხმარობს „ლექსს,“ ერთისა ან რამოდენიმე მარცვლისაგან შემდგარს. ჩვენ კი ჩვეულებრივ სწორედ „ლექსის“ მაგიერად ვხმარობთ „სიტყვას“ და ყმაწვილებსაც ასე ვეუბნებით—ეს და ეს სიტყვა (და არა ლექსი) შესდგება ამდენი და ამდენი მარცვლისაგანაო და ამიტომ „ლექსს“ ხმარება თუ დავთარს დაუბნევს ყმაწვილს, თვარა არას გაუკეთებს.

თვითონ დაყოფა „სიტყვის,“ როგორც მთელი ჰაზრის მქონი წინადადებისა, რამოდენიმე ნაწილად ტყუილია. „სახელი, ნაცვალ-სახელი და სხვ.“ წინადადება კი არა, ლექსი იქნება (ჩვენებურად სიტყვა). თუ ავტორმა ლექსი მიიღო თვითოეული სიტყვის მაგიერად, მაშინ ასე უნდა ეთქვა: „ლექსი იქნება ან სახელი, ან ნაცვალ-სახელი და სხ.“ ანტონიც ასე შვრება თავის ღრამმატიკაში; ის სწერს: „**ლექსნი განირჩევიან რვა გვარად (ესე იგი) სახელად, ნაცვალ-სახელად, ზმნად და სხვ...**“ ყმაწვილს ჯერ ეუბნებიან: სიტყვა წინადადებას ნიშნავსო და შემდეგ კი—სიტყვა (წინადადება) განიყოფება რამოდენიმე ნაწილადო: სახელად და სხ. და სხ. რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება მისთვის „გულის-ხმის-ყოფა და ადვილად დანერგვა გულთა შინა!..“

ამის შემდეგ „სახელს“ ჰყოფს ავტორი სამ ნაწილად: „არსებითად, ზედშესრულად და რიცხვითად.“ ეს ერთობ დახლართული გამოდის. ბევ-

*) ანტონის ჰაზრით „წიგნი“ არის საწერი ხაზი, რომელიც უნდა მიუსვას კაცმა რომელიმე ასოს დასაწერად, ასო კი არისო „ოხრათ რაიმე“, ე. ი. ხმა. მაგრამ ეს არის მართალი — ასო-ხმა კი არაა, ხმის ნიშანია; ამ ორი სიტყვის (ხმა და ასო) მნიშვნელობაში დიდი განსხვავებაა. მგონი, უფ. ავტორი სქემისა ამ განსხვავებას მნიშვნელობას არ აძლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცხვა! კორრესპონდენტების წყალობით იმისთანა საქმე შევიტყვე, რომელსაც თავის დროზე ვერ გავიგებდი. ამ საშვალებით მოვეხმარე სასწავლებელს და სხვ.

ყველა მიხვდება თუ რა ნამდვილი ჰაზრი ჰქონია შედგენილი ბატონ იანოვსკის საზოგადოთ გაზეთის კორრესპოდენტებზე, და რა დიდი განსხვავება ყოფილა იმასა და ზოგიერ ვაჟბატონებს შუა, რომელთაც ბნედა და ავი-ჭირი უჩდებათ ერთ უბრალო გაზეთის შენიშვნაზე იმათ შესახებ...

ბ. იანოვსკი დილის პოეზდით მოვიდა და საღამოს წავიდა ისევ ქუთაისში. ყოფილა ხონში და ქუთაისის სასწავლებლებიც დაუთვალიერებია.

*N. N.*

---

**სოფ. მუხრანი, 19 მაისს.** დუშეთის უეზდში სოფელი მუხრანი არის უპირველესი სოფელი—სივრცით და სიმდიდრით. აქ სცხოვრობენ უპირველესი საქართველოს მებატონენი, ბაგრატიონ-მუხრანიანი, რომელთაც აქვს დიდი მამული და შეძლება. გარდა ამისა ამ სოფელში ჰსცხოვრებს 400 კომლი კაცი, რომლის მომატებული ნაწილი არიან აგრეთვე შეძლებულები. მუხრანში რომ მიბრძანდეთ გაჰკვირდებით გლეხ-კაცების ცოლების ტანისამოსით: მშვენიერი ხავერდის ქათიბებით და ფარჩის კაბებითა დიდიან გამოპრანჭულები...

ამ სოფლის სიმდიდრე გაეგო თფ. სასოფლო შკოლების დირექტორს და ამასთანავე გაეგო, რომ აქ არ იყო სასწავლებელი. ამისთვის მიჰმართა უ.უ. მაზრის უფროსს და მიროვოი პოსრედნიკს და სთხოვა მათ შეწევნა სასწავლებლის დაარსებისათვის ამ სოფელში.

რასაკვირველია, ამათ უარი არა ჰყვეს, დიდის სიხარულით და გულმოდგინეთ აღუთქვეს თანაზიარობა ამ კეთილ საქმეში. მოვიდნენ ერთად მუხრანს, დაიბარეს აქაური მცხოვრებნი: მებატონენი და გლეხი-კაცები, გამოუცხადეს მათ თავიანთი აზრი, და თანხმობა მოხვდა საერთოდ. შეადგინეს სასოფლო განჩინება და მებატონეებმა შესწირეს ზოგმა ხუთი, ზოგმა ათი თუმანი. მიროვოი პოსრედნიკმა თავს იდვა ამ საქმის ყურადღება და აღსრულება განჩინებისა.

დირექტორმა, აღტაცებულმა სიხარულით, რომ ნახა ამ გვარი თანაგრძნობა კეთილის საქმისა, გადაუხადა მადლობა და დაუნიშნა საუკეთესო მასწავლებელი, ცოლ-შვილიანი კაცი.

სეკტემბერში თუ ოკტომბერში გახსნეს მუხრანში სასწავლებელი. პირველად შეგროვებულის ფულიდამ შეისყიდეს რაც საჭირო იყო სასწავლებლის სახლისთვის, მისცეს მასწავლებელს იანვრის პირველამდენ ჯამაგირი.

ყველას, ვინც კი გაიგო ეს საქმე, გაუხარდა და ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ სოფლის მებატონენი, მცხოვრებნი და უმეტესად მიროვოი პოსრედნიკი ამით მოუღებდნენ ბოლოს თავიანთ მოქმედებასა; ვინ მოიფიქრებდა რომ ამ გვარ საქმეს ყურს არ უგდებდნენ?

მასწავლებელი დღევანდლამდისინ ზის და ელის ზეციურ მანნასა საზრდოთ: სთხოვს, ევედრება მისცენ ჯამაგირი, მაგრამ ვინ არის გამგონი? ეს მეხუთე თვეა ჯამაგირს არ აძლევენ და არავინ არ ჰკითხულობს—რითი სცხოვრობს საცოდავი. მშიერის მუცლით ავიდა მუხრანიდამ სოფ. ოძისს, სადაც ბრძანდება დიდს განცხრომაში უ. მიროვოი პოსრედნიკი, წარუდგინა და მოახსენა თავისი მდგომარეობა, მაგრამ ვერა გააწყო-რა და დაბრუნდა ისევე მშიერი, თუმცა უ. პოსრედნიკმა ბევრი სიტყვები დახარჯა და აღუთქვა შემწეობა. ამის შემდეგ იახლა ბატონს პოსრედნიკს მუხრანის მამასახლისი და სთხოვა მიეცა ოძისის ბანკიდამ ის ფული, რომელიც სოფელს ჰქონია სასწავლებლისთვის შეგროვილი და დროებით შეტანილი ბანკში. პოსრედნიკს ეანგარიშნა და ეთქვა: მართალია, თქვენი ფული 250 მანეთი არის ბანკშიო, მაგრამ ბანკის კასსაში ეხლა კაპეიკიც არ არისო! ამ სიტყვებს ეუბნება ის პირი, რომელსაც უკისრნია აღსრულება სასოფლო განჩინებისა სასწავლებლის დაწესებაზედ და რომელიც არის ზედამხედველი ოძისის ბანკისა! მამასახლისმა, რასაკვირველია, დაუკრა თავი და ჩამოვიდა მუხრანს.

მასწავლებელი მოთმინებიდამ გამოვიდა და მოახსენა დაწვრილებით უ. დირექტორს და სთხოვა გადაყვანა სხვა ალაგს. დირექტორმა ნახა უ. პოსრედნიკი ტფილისში, უამბო ეს საქმე. რა უთხრა, როგორ იმართლა თავი—მე არ ვიცი; მხოლოდ დირექტორი ამოვიდა დანიშნულს დღეს ს. მუხრანს, მაგრამ პოსრედნიკმა ეკიპაჟით ჩაიარა ქალაქს და ვერც კი შეატყობინა, რომ ვერ მოვალო.

იმ დროს მივიდა იქ ტფილისის გუბერნატორი, რომელმაც შეიტყო ეს ამბავი, უბრძანა ხალხის შეგროვება, დაუწყო ლაპარაკი, ურჩია მეორე განჩინების დაწერა იმ პირობით, რომ სასწავლებლის ფული შეიტანონ ერთად სახელმწიფო ხარჯთან და მასწავლებელს მიეცეს ჯამაგირი ხაზინიდამ. ეს წინადადება მიიღო ხალხმა.

აღსრულდა თუ არა ეს დაწყობილება არ ვიცი, მხოლოდ ეს ვიცი, რომ ეხლა ხალხი სულ კალოის დასახოცად არის გასული და პოსრედნიკი ზის შინა და ჰგონია, რადგანაც თითონ არის მაძღარი, ყველა მაძღარი უნდა იყოსო.

ა. ბ.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** საფრანგეთის სენატში თავმჯდომარეს წაუკითხავს ლეონ-სეს წერილი, რომელშიაც მადლობა ყოფილა გამოცხადებული მისი პრეზიდენტად ამორჩევისათვის.

სენატს მიუღია პროექტი, რომლითაც ისპობა კვირა დღეს მუშაობის აღმკრძალეველი კანონი.

—

ვენაში მყოფს ბ. ბოშენს, რომელმანც სტამბოლში უნდა დაიკავოს ელჩის ადგილი, ამ დღეებში ლაპარაკი ჰქონია ჰაიმერლესთან. ჰაიმერლეს უთქვამს: „საჭიროა ოსმალეთის აღდგინება და არა დამხობა. ბერლინის ტრაქტატი იმმიზნით იქმნა ხელმოწერილი რომ შემოეზღუდათ იმისთანა გარკვეული საზღვარი, რომლიდამაც მას ოსმალეს თმომავალში აღარაფერი წართმევოდა, და ჰღირსებოდა იახალ სიცოცხლის ძალი საპოლიტიკო განვითარებისათვის.“

—

ოც-და-ხუთს (13) მაისს დახურულა ავსტრიის რეიხსრატი.

—

რუსული გაზეთი „რუსის კურიერი“ ერთი ნემეცური გაზეთის სიტყვით გვაცნობებს, რომ ოც-და-ხუთს (13) ნოემბერს პოზნანში პოლაკები აპირებენ იმ აჯანყების 50 წლის იუბილეის დღესაწაულობას, რომელიც მოახდინეს 1830—31 წლებში.

—

ჩვენი მკითხველებისაგან უკვე ცნობილს ბარტმანს, „რუსის კურიერის“ სიტყვით, გაზეთის „*Voltaire*“-ისათვის გაუგზავნია რამოდენიმე ნაწილი თავის თხზულებისა რუსეთზედ, რომელსაც სრულად თურმე ამ დღეებში გამოსცემს. „*Voltaire*“-ში დაბეჭდილი ნაწილი სავსეა რუსეთის მმართებლობის წინააღმდეგ კადნიერი სიტყვებით. . . . ამის შემდეგ რუსული გაზეთი „რუსის კურიერი“ ჰკითხულობს: „მერე, რა უნდაო ამ ახალს პუბლიცისტსაო?“

---

რად სჯობდა პირ-და-პირ სიტყვები დაეყო მნიშვნელობის-და-გვარად ნაწილებად: სახელი არსებითად, ზედშესრულად, ნაცვალ-სახელად, ზმნად, ზმნის-ზედად, თანდებულად, კავშირად და შორისდებულად. მიმღეობა და რიცხვითი სახელი უნდა მიათვისოს კაცმა ზედშესრულს (თან-დებულს), როგორც დ. ჩუბინოვს აქვს თავის ღრამმატიკაში,—ეს უფრო მოკლეც არის და ადვილი გასაგებიც „ყრმათათვის...“

„რიცხვითი სახელი იქნებაო სამგვარი: რაოდენობითი, წესებითი და განუსაზღვრებულიო. არ ვიცი—რას ეძახის ავტორი „განუსაზღვრებულს“ რიცხვითი სახელს, მაგრამ, მგონია, ეს უნდა იყოს უფრო ზმნის-ზედა, რაოდენობის, რიცხვის მაჩვენებელი. ამას გარდა აქ აკლია კიდევ: დანაწევრებითი რიცხვითი სახელი და შემკრებელობითი.

„ნაცვალ-სახელი იქნებაო: არსებითი, ჩვენებითი, მოგებითი კვლა-მოგებითი, კითხვითი და განუსაზღვრებელიო.“ აქ აკლია: საზღვრებითი ნაცვალ-სახელი და კვლა-მოღებითი (მიჩემებითი).

ზმნას ჰყოფს ხუთ ნაწილად: არსებითად, შემოქმედებითად, ვნებითად, საზოგადოდ (ალბად საშუალოდ) და უმეშველობიდად. დ. ჩუბინოვის ჰაზრით, ვნებითი ზმნა ქართულს ენაზედ ცალკე ნაწილს არ შეადგენს, რადგან ის წარმოსდგება შემოქმედებითის ზმნისაგან. მაგალითად, ვნებითი ზმნა „ვიცემები“ წარმოსდგება შემოქმედებითი ზმნისაგან „სცემ“ და სხვ....

„საზოგადო ზმნა“ იქნებაო: „ხატ-შემოქმედებითი და ხატვნებითი.“ ამისთანა, უბრალო მომაკვდავისათვის გაუგებარი, სიტყვების ხმარება უმაგალითოდ, არ ვიცი, რომ მოსათმენი იყოს საყმაწვილო „სქემაში.“ ავტორს არ უნდა დავიწყნოდა, რომ ადგენდა „მოკლე სქემას“ ყრმათათვის; ამიტომ ან არ უნდა ეხმარა ამისთანა სიტყვები (ხატ შემოქმედებითი, ხატვნებითი, მაკვეთი ლექსისა, მდევარი ზმნისა, ან კიდევ უმეშველობითი ზმნა), ან და ავხსნიდი მაინც; თვარა როგორ გნებავსთ, რომ ყმაწვილს განუმარტოს ამ სიტყვების მნიშვნელობა მასწავლებელმა, რომელსაც ბევრი-ბევრი თუ პლ. იოსელიანის ღრამმატიკა აქვს ხელში, ან დ. ჩუბინოვისა; მაგრამ ამ ღრამმატიკებში რომ ამათ მსგავსს ვერას იპოვნის?!..

ქვევით სწერს: სქესი ზმნისა იქნებაო ხუთი; მაგრამ აღარ ასახელებს კი არცერთს მათგანს, ასე რომ ეს უნდა გამოიცნოს თვითონ მასწავლებელმა. პ. იოსელიანს აქვს ოთხი სქესი: საზღვრებითი, სათუვო, ბრძანებითი და განუსაზღვრებელი; მაგრამ ეს მეხუთე სქესი სადღა ეშმაკებში მონახოს მასწავლებელმა?! დ. ჩუბინოვს აქვს მხოლოდ სამი სქესი; შენიშვნაში ის ამბობს, რომ ქართულს ენას განუსაზღვრებელი სქესი არა აქვსო, იმის მაგიერობას შვრება ზმნათაგანი (**отглагольное**) სახელი არსებითიო, რომელიც თან ზმნის ძირეულსაც (**корень**) შეადგენსო. ეს ჭკუაზედ ახლოა, მიტომ რომ—წერად, კითხვად, ჭამად და სხ., რომლებიც ალბად მიაჩნია თ. რ. ერისთავს განუსაზღვრებელ სქესად, არის სახელი არსებითი განვითარებითი ბრუნვა (ჩუბინოვისა მებრ).

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

—

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—1)

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა** აცნობებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ კვირას, 25 მაისს, დილის 12 საათზე, თბილისის საადგილმამულო ბანკის ზალაში იქნება საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო ყრილობა.

ყრილობის მოსასმენი საგნები არის:

1) მიღება საზოგადოების ნამდვილ წევრათ შემოსვლის მსურველთა.

2) ამორჩევა წევრთა-დამფუძნებელთა.

3) წარმავალი წლის ანგარიშის მოსმენა.

4) მომავალი წლის სმეტის დამტკიცება.

იმ წევრთა, რომელთაც არ შემოუტანიათ ამ წელში შემოსატანი ფული, სთხოვენ დააჩქარონ ამ ფულის გამოგზავნა. ადრესსი: *Тифлисъ. Дворянскій земельный банкъ. Казначею Общества Грамотности кн. И. Г. Мачабели.*

(2—1)

---

# ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** გამოიწვევს მსურველთ ქალაქის **ფარნების იჯარით განათებისას**; სულ 1,400 ფარანი უნდა გინათოს კერაინით ამ ივლისის თვის 4-დამ სამის წლის ვადით ვიდრე 1883 წლის 4 ივლისამდინ.

ვაჭრობა დაიწყება ამ იჯარისა იქნება მაისის 27-ს ქალაქის გამგეობის თანა-დასწრებით.

ვისაც ამ იჯარის აღებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, დაწვრილებით პირობების (კანდიციების) ნახვა შეუძლიანთ გამგეობის უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღე გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობა პირადათ შეიძლება და შეიძლება აგრეთვე, დაბეჭდილი კონვერტითაც გამოგზავნა პირობებისა.

(6—6)

---

თფილისის ოკრუჟნის სუდის მეექვის დროებითს განყოფილებაში ქ. თელავში არიან დანიშნული მოსასმენელად შემდგომნი საქმენი:

1.) 3 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **ქვემო-ხოდაშნის** მამულების გამიჯვნის დროსა;

2.) 10 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომელიც აღმოჩნდნენ სოფლის **ბუშატის** მამულების გამიჯვნის დროსა;

3.) 12 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **განთის** მამულების გამიჯვნის დროსა

4.) 14 **თიბათვის**, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **აკურის** მამულების გამიჯვნის დროსა;

5.) 17 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომლებიც ამღმოჩნდნენ სოფლის **ჩრეულეთის** (იგივე არის ბოსტანა) და **ხორხელის** მამულების გამიჯვნის დროსა;

6.) 19 **თიბათვის**, — იმ დავებისა რომლე- ბიც აღმოჩნდნენ სოფლის **ალმატის** მამულების გაყოფის დროსა;

7.) 23 **თიბათვეს**, — იმ დავებისა რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის ვაჩნაძიანის მამულები გამიჯვნის დროსა.

(3—3)

---

**ისყიდება არწრუნის ქარვასლაში ინგლისის მაღაზიაში:** პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასალებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-დაპირ ქიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—25)

---

ჩაი! ჩაი! ჩაი!

**როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.**

**სად არის ინგლისის მაღაზია?— არწრუნის ქარვასლაში.**

(20—2)

---

ისყიდება

რქიანი საქონელი

**14 ძროხა, 1 კამბეჩი, 5 ხარი და 13 ხბო.**

**ფასის შეტყობა შეიძლება სამხედრო ოლქის სასამართლოს იქით, არტილერიის ქუჩაზე, სტანიშევსკის სახლში, № 23, ჰკითხეთ მზარეულს სოლომანას.**

(3—2)

---

სავაჭრო სახლი

# იაგორ ქასუმოვი და ამხ.

**ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელნიც „სავაჭრო ს.ხლში“ შესანახავად ფულს შემოიტანენ, დღეის შემდეგ ახალ გამოცხადებამდინ,**

აძლევს:

1) **მიმდინარე ანგარიშით (ტეკუსჩი სჩოტით) შეტანილს ფულზედ:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **უპირობოთ და პირობით** | — | — | — | — | $4^1/_2\%$ |
| **მოთხოვნამდინ** | | — | — | — | $4^1/_2\%$ |
| 2) **ვადით შეტანილს ფულზე:** | 6 **თვით** | | — | — | $6\%$ |
| | 9 **თვით** | | — | — | $6^1/_2\%$ |
| | 1 **წლით** | | — | — | $7^1/_2\%$ |
| | $1^1/_2$ **წლით** | | — | — | $8\%$ |
| | 2 **და მეტი წლით** | | | | $8^1/_2\%$ |

3) **სპეციალურ შეტანილ ფულებზედ 1 ხარისხის პაისჩიკებს**—$9\%$

**ფულის გასესხების დროს „სავაჭრო სახლი“ ახდევინებს:**

**იმ სესხზედ, რომელიც თვეობით უნდა იქნეს გარდახდილი**—$10\%$

**კვირაობით გარდასახდელ სესხზე** — — $9\%$

**სავაჭრო სახლის კანტორა იმყოფება ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვების სახლში. შესანახავად მიტანილ ფულის მისაღებად და ადებულის ვალის შემოსატანად კანტორა ღიაა მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ; უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ 10-მდინ.**

(10—2)

---

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

# ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

**გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.**

(10—5)

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

**ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსასხურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შრიფტები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილობუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ.** ინგლისურს მაღაზიაში.

(40—14)

---

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# გრ. ზალინოვისა

**(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)**

**ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელსა.**

**აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.**

**წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.**

**აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.**

(30—7)

---

პატენტიანი შჩოტკები

**თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ.** ინგლისურს მაღაზიაში.

(100—6)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს.მელიქიშვილი· რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი